

სარჩევი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3
კონსოლიდირებული კაპიტალის მოძრაობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4
სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	5

შპს “ვინ კახეთი“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

	<u>მენიშვნა</u>	<u>31/12/2024</u>	<u>31/12/2023</u> (გადაანგარიშებული)
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები	7	48,584	132,990
გადახდილი ავანსები	8	1,110,275	258,974
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	9	5,924,932	7,321,691
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	10	1,160,693	92,297
მოთხოვნები კაპიტალის შევსებაზე	11	10,000	27
სხვა მოკლევადიანი აქტივები	12	7,491	8,516
სულ მიმდინარე აქტივები		8,261,975	7,814,495
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	13	24,744,077	27,035,298
ბიოლოგიური აქტივი	14	3,129,147	3,425,196
არამატერიალური აქტივები	15	17,406	10,595
გუდვილი	16	230,234	306,979
სულ გრძელვადიანი აქტივები		28,120,865	30,778,068
სულ აქტივები		36,382,840	38,592,563
კაპიტალი და ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	17	531,945	630,355
შრომითი საქმიანობის გასამრჯელოები		650	650
საგადასახადო ვალდებულებები	18	28,374	71,313
მოკლევადიანი სესხები	19	2,641,620	2,928,805
სულ მიმდინარე ვალდებულებები		3,202,589	3,631,124
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	19	1,435,909	3,816,435
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,435,909	3,816,435
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	20	42,179,812	39,811,089
გაუნაწილებელი მოგება		(10,435,470)	(8,666,085)
სულ საკუთარი კაპიტალი		31,744,342	31,145,004
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		36,382,840	38,592,563

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 31 ოქტომბერს.

დირექტორი:



შპს “ვაინ კახეთი“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

**კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით**

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

		31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
	შენიშვნა	წელი	წელი
			(გადაანგარიშებული)
შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან	21	4,634,715	2,078,829
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	21	-	2,458
სხვა საოპერაციო შემოსავლები	21	2,622,089	1,101,265
სულ საოპერაციო შემოსავლები		7,256,804	3,182,553
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	22(a)	(4,112,768)	(2,023,553)
პერსონალის დანახარჯი	22(b)	(724,878)	(704,632)
ცვეთა და ამორტიზაცია	22(c)	(874,317)	(312,366)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	22(d)	(2,496,968)	(2,345,206)
სულ საოპერაციო ხარჯები		(8,208,931)	(5,385,757)
მოგება ან ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან		(952,127)	(2,203,205)
წმინდა შემოსავალი/დანაკარგი ძირითადი			
საშუალებების რეალიზაციიდან		(613,739)	(1,148)
საპროცენტო შემოსავალი	23	26,104	168,521
ფინანსური დანახარჯები	24	(651,080)	(1,083,140)
წმინდა მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან და			
გადაფასებებიდან		415	48,972
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	25	435,422	655,178
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	26	(14,380)	(26,284)
-		(817,257)	(237,901)
მოგება დაბეგვრამდე და განსაკუთრებულ			
მუხლებამდე		(1,769,385)	(2,441,105)
მოგების გადასახადი		-	-
მოგება დაბეგვრის შემდეგ		(1,769,385)	(2,441,105)
სხვა სრული შემოსავალი:			
მთლიანი სრული შემოსავალი წლის			
განმავლობაში		(1,769,385)	(2,441,105)

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 31 ოქტომბერს.

დირექტორი:



შპს “ვაინ კახეთი“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

კონსოლიდირებული კაპიტალის მოძრაობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

	საწესდებო კაპიტალი	განაწილებელი მოგება/ დაუფარავი ზარალი	სულ
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	28,764,589	(6,811,318)	21,953,270
კორექტირება		586,339	586,339
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	28,764,589	(6,224,979)	22,539,609
საწესდები კაპიტალის გაზრდა ან შემცირება	11,046,500		11,046,500
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		(2,441,105)	(2,441,105)
განაწილებული დივიდენდი			-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	39,811,089	(8,666,085)	31,145,004
საწესდები კაპიტალის გაზრდა ან შემცირება	2,368,723		2,368,723
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		(1,769,385)	(1,769,385)
განაწილებული დივიდენდი			-
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	42,179,812	(10,435,469)	31,744,342

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 31 ოქტომბერს.

დირექტორი:



სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ჯგუფი კომპანიის შესახებ

ჯგუფი შედგება შპს „ვაინ კახეთი“ (მშობელი კომპანია) და მისი შვილობილი კომპანია შპს „ვივი“-სგან, რომელშიც შპს „ვაინ კახეთი“ ფლობს 100%-იან წილს. შემდგომში ჯგუფი. ჯგუფის შექმნის თარიღია 21.02.2018.

შპს „ვაინ კახეთი“ (ს/კ 405242125), (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნებულია 2017 წლის 4 დეკემბერს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. იურიდიული მისამართი: საქართველო, ქალაქი თელავი სადგურის ქუჩა N2. 2024 წლის საანგარიშგებო წლის ბოლოს კომპანიის 25%-იანი წილის მფლობელი იყო ალექსანდრე თამაზაშვილი, ხოლო 75%-იანი წილის მფლობელი ლევან ზილფიმიანი. ამ ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის 22.5%-იანი წილის მფლობელი არის ალექსანდრე თამაზაშვილი, 22,5%იანი წილის მფლობელი ლევან ზილფიმიანი, 43%იანი წილის მფლობელი არის რობი ქევხიშვილი, 8%იანი წილის მფლობელი არის გიორგი ხითარიშვილი, ხოლო 4%იანი წილის მფლობელი არის შალვა მერებაშვილი. დირექტორი- ლევან ზილფიმიანი.

	ამ ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის, %	2024 წლის 31 დეკემბრისთვის ფლობილი წილი, %	2023 წლის 31 დეკემბრისთვის ფლობილი წილი, %
მფლობელები			
ლევან ზილფიმიანი	22.5%	75%	75%
ალექსანდრე თამაზაშვილი	22.5%	25%	25%
რობი ქევხიშვილი	43%	-	-
გიორგი ხითარიშვილი	8%	-	-
შალვა მერებაშვილი	4%	-	-
	100%	100%	100%

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ღვინის წარმოება ყურძნისგან .

შპს „ვაინ კახეთი“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

შპს „ვაინ კახეთი“-მა 2018 წლის თებერვალში შეისყიდა 100%-იანი მფლობელობით შპს ვივი(ს/კ 436031269), რომელიც დაფუძნებული იყო 2010 წელს საქართველოში. შპს „ვივი“-ს ძირითადი საქმიანობაა მევენახეობა, ყურძნის მოყვანა და რეალიზაცია.

„ჯგუფის“ საოპერაციო შედეგების ანალიზს ხელმძღვანელობა ახორციელებს მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (შემდგომში „მსს ფასს“) მიხედვით მომზადებული ფინანსური ინფორმაციის საფუძველზე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შედგენილია კომპანიის ხელმძღვანელობის მოთხოვნით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ნებადართულია გამოსაცემად 2025 წლის 31 ოქტომბერს.

2. მომზადების საფუძვლები

კომპანია აღრიცხვას აწარმოებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, თუმცა წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოქვეყნებული შეღავათი, რომელიც საშუალებას აძლევს კომპანიებს არ წარადგინონ ფულადი სახსრების ანგარიშგება. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

შვილობილი კომპანია არის ის ორგანიზაცია, რომელიც კონტროლდება ჯგუფის მიერ. კონტროლი ხორციელდება, როდესაც ჯგუფს აქვს უფლებამოსილება, პირდაპირ ან ირიბად დაარეგულიროს ორგანიზაციის ფინანსური და სამუშაო პოლიტიკა ისე რომ, მიიღოს სარგებელი მისი სამუშაო საქმიანობიდან. შვილობილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგებები შეტანილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კონტროლის დაწყების დღიდან კონტროლის შეწყვეტის დღემდე. შიდა ჯგუფური ბალანსები და ტრანზაქციები, ნებისმიერი არარეალიზებული მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიქმნება შიდა ჯგუფური ტრანზაქციიდან არ არის გათვალისწინებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დროს.

3. ფუნქციონირებადი საწარმო

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ ჯგუფი ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსს შეინარჩუნებს პროგნოზირებად მომავალში, რაც გულისხმობს, რომ ჯგუფი შეძლებს აქტივების რეალიზებას და ვალდებულებების დაფარვას ბიზნესის ნორმალურად ფუნქციონირების პროცესში. ამგვარად განსჯისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა, არსებული განზრახვები, ფინანსურ რესურსებზე წვდომა და გაანალიზა ჯგუფის ოპერაციებზე გარე ფაქტორების ზეგავლენა.

4. სააღრიცხო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

a) უცხოური ვალუტა

ჯგუფის სამუშაო ვალუტა არის ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც ჯგუფი ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას ჯგუფი აწარმოებს ოპერაციის თარიღისთვის დადგენილი ფუნქციონალური ვალუტის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის ფუნქციონალური ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. სხვაობების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

ჯგუფის მიერ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას წლის ბოლოს მდგომარეობით გამოყენებული გაცვლითი კურსებია:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ლარი /1 აშშ დოლარი	2.8068	2.6894
ლარი / 1 ევრო	2.9306	2.9753

b) ძირითადი საშუალებები

i. აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების აღსარიცხავად ჯგუფი იყენებს თვითღირებულების მოდელს. ძირითადი საშუალებები აღრიცხულია ისტორიული ღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად დარიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. როდესაც პერიოდულად ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის შეცვლა ხდება ჯგუფი ასეთ ნაწილს აღიარებს დამოუკიდებელ აქტივად სასარგებლო გამოყენების კონკრეტული ვადით და შესაბამისად აღრიცხავს ცვეთას. და მისი ხარჯის აღიარება ხორციელდება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ოდენობაში ჩანაცვლების ღირებულების სახით, აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში. ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლის ხარჯის აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მიიღებს ამ ნაწილის თანმდევ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს და თუ შესაძლებელია მისი ხარჯის სარწმუნოდ შეფასება შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება.

ii. ცვეთა

ცვეთის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. ცალკეული აქტივის მნიშვნელოვანი კომპონენტები ფასდება და თუ ამ კომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა აქვს, მისი ცვეთა განსხვავებულად ხორციელდება.

ჯგუფის მიერ განსაზღვრულია აქტივის სალიკვიდაციო ღირებულება, რომლის მიღებას მოელის საწარმო ამ აქტივისაგან მისი სასარგებლო გამოყენების ვადის გასვლის შემდეგ, გაყიდვასთან დაკავშირებული დანახარჯების გამოკლებით. აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრა იმ დაშვებით, რომ გარკვეული დროის შემდეგ მოხდება აქტივის გაყიდვა, ამიტომ აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა მისი ეკონომიკური ვარგისიანობის ვადაზე ნაკლებია.

ცვეთა გამოითვლება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით აქტივების სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე შემდეგნაირად:

	წელი
შენიშვნები	20-25
ნაგებობები	10

ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-7
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	10
მძიმე ტექნიკა	17-25
სამეურნეო ტექნიკა	5-7
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5

iii. აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება მოგებაში ან ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.

c) არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. არამატერიალური აქტივი სასარგებლო გამოყენების ვადა შეიძლება იყოს განუსაზღვრელი ან შეზღუდული.

ჯგუფი არ ფლობს სასარგებლო მომსახურების განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასვლისას ან როდესაც არავითარი მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ არის მოსალოდნელი აქტივის გამოყენებისა და შემდგომი გასვლის შემდეგ. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტისას წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა განისაზღვროს, როგორც სხვაობა აქტივის გასვლის წმინდა შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში, როდესაც აქტივის აღიარება შეწყდება. შემოსულობა არ კლასიფიცირდება ამონაგებად.

ჯგუფი შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივზე ამორტიზაციას არ წყვეტს მაშინაც, როცა არამატერიალური აქტივი არ გამოიყენება, გარდა ისეთი შემთხვევისა როცა ის ბოლომდეა ამორტიზირებული ან კლასიფიცირებულია გასაყიდად გამიზნულად.

d) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური მარაგის ღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, ასევე წარმოების და დამუშავების ხარჯს. წარმოების თვითღირებულებასა და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი პროდუქციის დასრულების მიახლოებითი ხარჯებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

e) ბიოლოგიური აქტივები

კომპანიის ბიოლოგიური აქტივები მოიცავს ვენახებს, ვინაიდან ამ ბიოლოგიური აქტივების კატეგორიისთვის, რეალური ღირებულების ადვილად განსაზღვრა მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე, შეუძლებელია კომპანია ბიოლოგიურ აქტივებს აფასებს თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით. ვაზის გაშენება წარმოადგენს ხარჯს, რომელიც გაიწია ახალი ვაზის ჩასაყრელად და მოსავლელად პირველი მოსავლის მოწევამდე. მას შემდეგ, რაც ვაზი მოსავალს იძლევა, დაგროვილი დანახარჯები მიეკუთვნება მწიფე ვენახებს და მათი სასარგებლო მომსახურების ვადას ერიცხება ცვეთა.

კომპანია ბიოლოგიური აქტივების ცვეთის კალკულაციისთვის იყენებს წრფივ მეთოდს.

კომპანია ბიოლოგიური აქტივებიდან მიღებულ სოფლის მეურნეობის პროდუქტს აფასებს რეალურ ღირებულებას გამოკლებული გაყიდვისთვის საჭირო სავარაუდო დანახარჯებს, ნაყოფის მიღების მომენტში.

ბიოლოგიური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადებია: 15 წელი.

f) ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

მსს ფასს მე-11 და მე-12 განყოფილებების მიხედვით, ფინანსური აქტივი შემდეგ კატეგორიებს მიეკუთვნება: მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, სესხები და მისაღები ანგარიშები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები, ან წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები საჭიროების შემთხვევაში ჰეჯირებისთვის. ჯგუფი თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას.

ყველა ფინანსური აქტივის აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯები

იმ თარიღისთვის, რომლითაც ჯგუფი გახდა ინსტრუმენტთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულების მხარე.

ყველა ის ფინანსური აქტივი, რომელსაც ჯგუფი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობს, მიეკუთვნება სესხებისა და მისაღები ანგარიშების კატეგორიას და მოიცავს: სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებს, ფულად სახსრები და მისი ექვივალენტები.

შემდგომი შეფასება დამოკიდებულია ფინანსური აქტივის კლასიფიკაციაზე.

სესხები და მისაღები ანგარიშები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომელიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. თავდაპირველი შეფასების შემდეგ ასეთი ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება ხორციელდება ამორტიზირებული ღირებულების შესაბამისად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR), გაუფასურების გამოკლებით. ამორტიზებული ღირებულება გამოანგარიშებულია ნებისმიერი შესყიდვისას დისკონტის ან ნამეტი თანხის, აგრეთვე იმ საკომისიო გადასახდელებისა თუ ხარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება მოგებაში ან ზარალში, ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ნაწილში. სესხებთან დაკავშირებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალის აღიარება ხდება ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების ნაწილში, ხოლო სხვა ფინანსური აქტივების გაუფასურებით გამოწვეული ზარალი აისახება საოპერაციო ხარჯებში.

აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას, როდესაც იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივებიდან ფულადი სახსრების ნაკადების მიღებაზე ან როდესაც გადასცემს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებას ფინანსური აქტივებიდან ფულადი სახსრების მიღებაზე ისეთი გარიგების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც ამ ფინანსური აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემა ხდება. ნებისმიერი მონაწილეობა გადაცემულ ფინანსურ აქტივებში, რომელიც ჯგუფმა შექმნა ან შეინარჩუნა აღიარებული უნდა იყოს ცალკე აქტივის ან ვალდებულების სახით.

გაუფასურება

თითოეული საანგარიშგებო თარიღისათვის, ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივის გაუფასურების ობიექტური ნიშნების არსებობას. ფინანსური აქტივი გაუფასურებულად განიხილება თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ და ზარალის დადგომის ეს შემთხვევა გავლენას ახდენს ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მოსალოდნელ მომავალ ნაკადებზე, რომელთა სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია. ჯგუფი ინდივიდუალურად აფასებს თითოეული თავისი ფინანსური აქტივის გაუფასურებას.

საპროცენტო შემოსავალი აისახება ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ნაწილში მოგებაში ან ზარალში. სესხები და მისაღები ანგარიშები მათთან დაკავშირებულ რეზერვთან ერთად ჩამოიწერება მაშინ, როდესაც მომავალში მათი ამოღების პერსპექტივა არ არსებობს.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები მსს ფასს მე-11 და მე-12 განყოფილებების შესაბამისად კლასიფიცირებულია, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები და გადასახდელი ანგარიშები. ჯგუფი თავისი ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას. ყველა ფინანსური ვალდებულების თავდაპირველი აღიარება ხდება თავდაპირველი ღირებულებით. ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც მიეკუთვნება სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების კატეგორიას, მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებებს და სესხის მიღების ვალდებულებებს.

აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების, გაუქმების და ამოწურვის შემთხვევაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ჩათვლა ხორციელდება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში, მხოლოდ მაშინ, როდესაც ჯგუფს აქვს სამართლებრივი უფლება მოახდინოს ურთიერთჩათვლა, ან აპირებს განახორციელოს ურთიერთგაქვითვა ნეტო საფუძველზე ან ერთდროულად მოახდინოს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა.

გ) გადასახადები

i. მოგების გადასახადი

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად ჯგუფი იბეგრება ე.წ. ესტონური მოდელით. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისთვის მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტი ჯგუფის მიერ იმიჯდება ორ ნაწილად: მოგება, რომელიც დივიდენდის სახით ნაწილდება და დაბეგვრის სხვა ობიექტები გარდა დივიდენდის სახით განაწილებული მოგებისა (სხვა დასაბეგრი ობიექტი).

ჯგუფის მიერ დივიდენდის სახით განაწილებული მოგებიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება დივიდენდის განაწილების შესახებ საწარმოს პარტნიორთა მიერ გადაწყვეტილების მიღებისთანავე (კრების ოქმი). მოგების გადასახადის ხარჯი საანგარიშგებო მუხლით „მოგების გადასახადი“ წარდგენილი იქნება იმ საანგარიშგებო წლის მოგება ან ზარალში, როდესაც მოხდა დივიდენდის განაწილება.

სხვა დასაბეგრი ობიექტიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება გადასახადის გადახდის ვალდებულების წარმოშობი მოვლენის მოხდენის შესაბამის საანგარიშგებო თვეში, თუ ეს მოვლენა არ განაპირობებს საგადასახადო ვალდებულების შესაბამისი აქტივის წარმოშობას (როდესაც ვალდებულება შეიძლება შემცირდეს მაგ. გაცემული სესხის დაბრუნების შედეგად) და აკმაყოფილებს ხარჯის სახით აღიარების კრიტერიუმებს, მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება და წარდგენილი არის საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში ან ზარალში ხარჯის სახით. ის არ მიეკუთვნება საანგარიშგებო მუხლს „მოგების გადასახადი“.

ii. დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯების და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, იმ შემთხვევაში თუ ეს კონკრეტული (შემოსავალი, ხარჯები და აქტივები) მიეკუთვნება დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციებს, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც შემოსავლები, ხარჯები და აქტივები დღგ-ის ჩათვლის უფლებით განთავსდებიან ბრუნვას მიეკუთვნება, მათი გათვალისწინება ხდება თვითღირებულებაში.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებითი ღირებულების გადასახადის აქტივის ან ვალდებულების წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მიმდინარე გადასახადების დავალიანების მუხლში.

iii. საშემოსავლო გადასახადი

ჯგუფი იხდის საშემოსავლო გადასახადს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი განაკვეთით -20%. საშემოსავლო გადასახადი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია მიმდინარე გადასახადების დავალიანების მუხლში.

h) იჯარა

იმის განსაზღვრა, შეთანხმება წარმოადგენს ან შეიცავს თუ არა იჯარას, ხდება იჯარის ვადის დასაწყისში, შეთანხმების არსიდან გამომდინარე. შეთანხმება ფასდება იმისდა მიხედვით, მისი შესრულება დამოკიდებულია თუ არა გარკვეული აქტივის (ან აქტივების) გამოყენებაზე ან შეთანხმება ასახავს აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებას მაშინაც კი, თუ ეს უფლება მკაფიოდ არ არის მითითებული შეთანხმებაში.

ჯგუფი, როგორც მოიჯარე

აქტივის კლასიფიცირება ხდება იჯარის საწყისი თარიღით ფინანსურ ან საოპერაციო იჯარად. იჯარა, რომელიც გადაცემს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს ჯგუფს, კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად. ფინანსური იჯარა კაპიტალიზდება იჯარის დაწყებისთანავე იჯარის საწყისი თარიღისთვის საიჯარო ქონების სამართლიან ღირებულებასა და მინიმალური საიჯარო გადასახადის დღევანდელ ღირებულებას შორის უმცირესით. საიჯარო გადასახადები ნაწილდება ფინანსურ დანახარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის იმგვარად, რომ წარმოიქმნას მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დარჩენილ ნაშთზე. ფინანსური ხარჯების აღიარება ხდება ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების სახით სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. იჯარით გადაცემული აქტივი ცვდება მისი სასარგებლო გამოყენების მთლიანი ვადის განმავლობაში. ამის მიუხედავად, თუ ნაკლებ სავარაუდოა ჯგუფის მიერ საიჯარო ვადის ბოლოსთვის საკუთრების შეძენა, აქტივი ცვდება სავარაუდო სასარგებლო გამოყენების ვადასა და საიჯარო ვადას შორის უმცირესი ვადის განმავლობაში.

საოპერაციო იჯარა არის ისეთი ტიპის იჯარა, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს ფინანსურ იჯარად. საოპერაციო იჯარის გადასახდელების აღიარება ხდება საოპერაციო ხარჯად სრული შემოსავლი ანგარიშგებაში იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

i) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს და საბანკო ანგარიშებს.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის 31 დეკემბერს არსებული კურსით.

j) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ თუ წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად ჯგუფს აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომლის წინასწარი შეფასებაც სარწმუნოდ შეიძლება და ვალდებულების დასაფარად შესაძლოა ეკონომიკური სარგებლის გადინება გახდეს საჭირო. ანარიცხების განსაზღვრა ხდება მოსალოდნელი სამომავლო ფულადი სახსრების ნაკადების დაბეგვრამდელი განაკვეთით დისკონტირებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტირების გაუქმების აღიარება აისახება, როგორც ფინანსური ხარჯი.

k) შემოსავლები

შემოსავლების აღიარება ხდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოდინება. ჯგუფის ეკონომიკური საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე შემოსავლების შეფასება შესაძლებელია რეალურად.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავალი კლასიფიცირებულია საოპერაციო და არასაოპერაციო შემოსავლებად.

l) საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი აისახება მოგებაში ან ზარალში ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ნაწილში.

m) ხარჯები

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ხარჯების მუხლებად წარმოდგენილია პერიოდის შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული დანახარჯები.

ნ) ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა ორგანიზაციის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

მ) წინა პერიოდის შეცდომები და რეკლასიფიკაციები

ჯგუფის მენეჯმენტმა 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში გაასწორა წინა პერიოდის შეცდომები და გააკეთა რეკლასიფიკაციები. მენეჯმენტის მოსაზრებით ახალი წარდგენა უფრო სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას და მოგება-ზარალს. კონკრეტულად, მენეჯმენტმა განახორციელა ცვლილებები შემდეგ საკითხებზე:

2023 წელს ფინანსურ ანგარიშგებაში განხორციელებული ცვლილებები მუხლების მიხედვით შემდეგია:

წინა პერიოდის რეკლასიფიკაციების ეფექტი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე:

	წინა პერიოდში წარდგენილი	რეკლასიფიკაციის/კორექტირების ეფექტი	გადაანგარიშებული
31.12.2023			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	25,480,038	1,555,260	27,035,298
გუდვილი	1,082,116	(775,137)	306,979
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	(9,446,208)	780,123	(8,666,085)

წინა პერიოდის რეკლასიფიკაციების ეფექტი სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე:

	წინა პერიოდში წარდგენილი	რეკლასიფიკაციის/კორექტირების ეფექტი	გადაანგარიშებული
31.12.2023			
ცვეთა და ამორტიზაცია	(506,150)	193,784	(312,366)

5. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი შეფასებები და დაშვებები

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჯგუფი გადახედავს ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს.

6. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

(ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

(გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

შპს “ვან კახეთი“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. ჯგუფსა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ტრანზაქციები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობითა და საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა ამ თარიღში:

ფინანსური ანგარიშგების არე	დამფუძნებელი	უმაღლესი ხელმძღვანელები	სხვაგვარად დაკავშირებული მხარე
კაპიტალის გაზრდა 2024 წლის განმავლობაში	2,368,723		
კაპიტალის შემცირება 2024 წლის განმავლობაში	-		
პერსონალის დანახარჯი	32,000	38,220	61,800

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ტრანზაქციები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობითა და საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა ამ თარიღში:

ფინანსური ანგარიშგების არე	დამფუძნებელი	უმაღლესი ხელმძღვანელები	სხვაგვარად დაკავშირებული მხარე
კაპიტალის გაზრდა 2023 წლის განმავლობაში	11,826,500		
კაპიტალის შემცირება 2023 წლის განმავლობაში	780,000		
პერსონალის დანახარჯი	7,500	48,510	63,144

ბალანსის ახსნა-განმარტებები

შენიშვნა 7

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები

ნაღდი ფული საღაროში

ფული საბანკო ანგარიშებზე

სულ ჯამი

31/12/2024

31/12/2023

15,971

71

32,613

132,918

48,584

132,990

შპს “ვან კახეთი“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

შენიშვნა 8		
გადახდილი ავანსები	31/12/2024	31/12/2023
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	1,110,275	258,974
<u>სულ ჯამი</u>	<u>1,110,275</u>	<u>258,974</u>

შენიშვნა 9		
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	31/12/2024	31/12/2023
ნედლეული და მასალები	70,322	69,676
შზა პროდუქცია	3,899,323	4,359,541
დაუმთავრებელი წარმოება	1,939,143	2,880,960
სხვა მარაგები	16,144	11,514
<u>სულ ჯამი</u>	<u>5,924,932</u>	<u>7,321,691</u>

შენიშვნა 10		
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	31/12/2024	31/12/2023
დებიტორული დავალიანება	1,160,693	92,298
<u>სულ ჯამი</u>	<u>1,160,693</u>	<u>92,298</u>

შენიშვნა 11		
მოთხოვნები კაპიტალის შევსებაზე	31/12/2024	31/12/2023
მოთხოვნები დამფუძნებლის მიმართ შვილობილი საწარმოს კაპიტალის შევსებაზე	10,000	27
<u>სულ ჯამი</u>	<u>10,000</u>	<u>27</u>

შენიშვნა 12		
სხვა მოკლევადიანი აქტივები	31/12/2024	31/12/2023
სხვა მიმდინარე აქტივები	7,491	8,516
<u>სულ ჯამი</u>	<u>7,491</u>	<u>8,516</u>

შენიშვნა 13 ძირითადი საშუალებები

საბალანსო ღირებულება	მიწის ნაკვეთი	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ჯამი
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	4,233,693	0	4,174,460	7,856,246	64,536	21,726	1,007,368	12,566	39,800	17,410,395
შემოსვლა 2023 წელს		2,966,906	3,524,958	7,943,643	5,987	9,899	-	427,676	-	14,879,069
გასვლა 2023 წელს	-	(2,966,888)	(1,756)	(30,385)	(1,474)	(1,498)	-	(412,743)	-	(3,414,743)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,233,693	18	7,697,662	15,769,504	69,049	30,127	1,007,368	27,499	39,800	28,874,721
შემოსვლა 2024 წელს	178,000	103,628	103,378	266,254	1,827	18,012	-	125,228	-	796,325
გასვლა 2024 წელს	-	(103,378)	(2,241)	(1,898,206)	(5,223)	(8,079)	(8,780)	(85,490)	-	(2,111,397)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,411,693	268	7,798,799	14,137,551	65,653	40,060	998,588	67,236	39,800	27,559,650
ცვეთა გაუფასურება	0	-	-	-	-	-	-	-	-	-
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	(208,415)	(550,764)	(15,612)	(6,960)	(143,896)	(1,915)	(5,100)	(932,662)
დარიცხვა 2023 წლის განმავლობაში	-	-	(194,131)	(604,693)	(9,867)	(3,634)	(102,355)	(2,950)	(3,978)	(921,608)
გასვლა 2023 წლის განმავლობაში	-	-	179	13,347	576	745	-	-	-	14,847
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	(402,367)	(1,142,110)	(24,903)	(9,849)	(246,251)	(4,865)	(9,078)	(1,839,423)
დარიცხვა 2024 წლის განმავლობაში	-	-	(294,741)	(680,740)	(9,826)	(5,066)	(101,234)	(4,349)	(3,989)	(1,099,945)
გასვლა 2024 წლის განმავლობაში	-	-	1,006	106,772	4,321	6,153	4,244	1,300	-	123,796
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	(696,102)	(1,716,078)	(30,408)	(8,762)	(343,242)	(7,913)	(13,067)	(2,815,572)
წმინდა საბალანსო ღირებულება										
1 იანვარი 2023 წელი	4,233,693	0	3,966,044	7,305,482	48,924	14,766	863,472	10,651	34,700	16,477,733
31 დეკემბერი 2023 წელი	4,233,693	18	7,295,295	14,627,394	44,146	20,278	761,117	22,635	30,722	27,035,298
31 დეკემბერი 2024 წელი	4,411,693	268	7,102,696	12,421,474	35,245	31,298	655,346	59,323	26,733	24,744,077

შპს “ვაინ კახეთი“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

შენიშვნა 14 ბიოლოგიური აქტივები

საბალანსო ღირებულება	ნაყოფის მომცემი ვენახები	ჯამი
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	4,440,736	4,440,736
შემოსვლა 2023 წელს	-	-
გასვლა 2023 წელს	-	-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,440,736	4,440,736
შემოსვლა 2024 წელს	-	-
გასვლა 2024 წელს	-	-
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,440,736	4,440,736
ცვეთა გაუფასურება		
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(719,491)	(719,491)
დარიცხვა 2023 წლის განმავლობაში	(296,049)	(296,049)
გასვლა 2023 წლის განმავლობაში	-	-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(1,015,540)	(1,015,540)
დარიცხვა 2024 წლის განმავლობაში	(296,049)	(296,049)
გასვლა 2024 წლის განმავლობაში	-	-
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(1,311,589)	(1,311,589)
წმინდა საბალანსო ღირებულება		
1 იანვარი 2023 წელი	3,721,245	3,721,245
31 დეკემბერი 2023 წელი	3,425,196	3,425,196
31 დეკემბერი 2024 წელი	3,129,147	3,129,147

შპს “ვაინ კახეთი“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

შენიშვნა 15 არამატერიალური აქტივები

საბალანსო ღირებულება	პროგრამა	ჯამი
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	13,154	13,154
შემოსვლა 2023 წელს	-	-
გასვლა 2023 წელს	-	-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	13,154	13,154
შემოსვლა 2024 წელს	16,500	16,500
გასვლა 2024 წელს	(8,250)	(8,250)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	21,404	21,404
ცვეთა გაუფასურება		
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(1,580)	(1,580)
დარიცხვა 2023 წლის განმავლობაში	(979)	(979)
გასვლა 2023 წლის განმავლობაში	-	-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(2,559)	(2,559)
დარიცხვა 2024 წლის განმავლობაში	(1,438)	(1,438)
გასვლა 2024 წლის განმავლობაში	-	-
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(3,997)	(3,997)
წმინდა საბალანსო ღირებულება		
1 იანვარი 2023 წელი	11,574	11,574
31 დეკემბერი 2023 წელი	10,595	10,595
31 დეკემბერი 2024 წელი	17,407	17,407

შპს „ვაინ კახეთი“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

შენიშვნა 16

გუდვილი	31/12/2024	31/12/2023
გუდვილი	230,234	306,979
სულ ჯამი	230,234	306,979

გუდვილი წარმოადგენს თანხას შპს „ვაინ კახეთი“-ის მიერ შპს „ვივი“-ს შეძენისას გადახდილ კომპენსაციასა და შვილობილი კომპანიის წმინდა აქტივების ღირებულებას შორის. გუდვილს ერიცხება ამორტიზაცია წრფივად. სასარგებლო მომსახურების ვადაა 10 წელი.

შენიშვნა 17

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	31/12/2024	31/12/2023
სავაჭრო კრედიტორული დავალიანებები	506,743	616,577
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	1,452	1,765
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	23,750	12,014
სულ ჯამი	531,945	630,355

შენიშვნა 18

საგადასახადო ვალდებულებები	31/12/2024	31/12/2023
ვალდებულებები ბიუჯეტის წინაშე	28,374	71,313
სულ ჯამი	28,374	71,313

შენიშვნა 19

სასესხო ვალდებულებები	31/12/2024	31/12/2023
მოკლევადიანი სესხი	2,641,620	2,928,805
გრძელვადიანი სესხი	1,435,909	3,816,435
სულ ჯამი	4,077,529	6,745,241

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის თარიღი	31/12/2024	31/12/2023
შეღავათიანი აგრო-კრედიტი 07/05/2021	GEL	6.00%	07/05/2025	665,476	1,485,365
სესხები ბანკისგან 06/09/2023	GEL	13.00%	06/12/2024		2,766,760
შეღავათიანი აგრო-კრედიტი 20.02.2019 ბანკისგან	GEL	5.75%	20/05/2025	77,081	513,534
შეღავათიანი აგრო-კრედიტი 27.05.2019 ბანკისგან	GEL	6.00%	23/05/2025	254,009	606,477
ბიზნეს სესხი 30.11.2021 ბანკისგან	USD	8.35%	30/06/2025	439,342	1,211,059
მოკლევადიანი სესხები	GEL			120	162,045
შეღავათიანი აგრო-კრედიტი 20/09/2024	GEL	1.00%	18/12/2025	1,200,000	
შეღავათიანი აგრო-კრედიტი 29/08/2024	GEL	1.00%	16/12/2025	1,441,500	
სულ ჯამი				4,077,529	6,745,241

შპს “ვაინ კახეთი“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

შენიშვნა 20

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 42,179,812 ლარს. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 39,811,089 ლარს.

სრული შემოსავლის ანგარიშგების დანართები

შენიშვნა 21

შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან

	2024	2023
შემოსავალი ღვინის რეალიზაციიდან	4,634,715	1,030,061
შემოსავალი ღვინომასალის რეალიზაციიდან	-	1,048,768
სხვა საოპერაციო შემოსავლები	5,351	4,438
შემოსავალი მომსახურებიდან (ღვინომასალის შენახვა)	-	2,458
შემოსავალი მომსახურებიდან (ყურძნის გადამუშავება)	584,310	-
აღებული მოსავლის (ყურძნის ღირებულება)	2,032,427	1,096,827
სულ ჯამი	7,256,804	3,182,552

შენიშვნა 22 (a)

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2024	2023
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	3,800,711	1,582,054
ტრანსპორტირების და შენახვის დანახარჯები	66,657	89,921
მიწოდების სხვა დანახარჯები	-	-
ძირითადი საშუალებების ცვეთა	-	143,672
საწარმოო დანიშნულების მოწყობილობების რემონტი	119,421	7,689
კომუნალური ხარჯი (საწარმოო)	110,783	163,621
სახელფასო ხარჯები	-	1,500
სხვა საწარმოო ხარჯები	15,196	35,098
სულ ჯამი	4,112,768	2,023,553

შენიშვნა 22(b)

პერსონალის დანახარჯი

	2024	2023
შრომითი გასამრჯელო	724,878	704,632
სულ ჯამი	724,878	704,632

შენიშვნა 22(c)

ცვეთა და ამორტიზაცია	2024	2023
		-

შპს “ვაინ კახეთი“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

ძირითადი საშუალებების ცვეთა	797,573	235,621
გუდვილის ამორტიზაცია	76,745	76,745
სულ ჯამი	874,317	312,366

შენიშვნა 22(d)

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	2024	2023
საქენსიო ხარჯი	21,854	20,326
საცხოვრებელი ფართის ქირა	18,931	27,134
საგადასახადო ხარჯი	230,349	192,907
კომუნალური ხარჯი	23,949	17,892
დაზღვევის ხარჯი	34,243	31,663
ძირითადი საშუალებების მიმდინარე რემონტი	70,159	78,221
საბანკო ხარჯი	11,981	14,222
სამეურნეო ხარჯი	94,322	246,548
დაცვის ხარჯი	132,890	121,300
საწვავის ხარჯი	82,897	77,246
მომსახურების ხარჯი	10,800	10,800
სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიღებაზე დანახარჯები	926,698	901,187
ტრანსპორტირების და შენახვის დანახარჯები	45,546	72,714
მიწოდების სხვა დანახარჯები	1,250	6,883
ძირითადი საშუალებების ცვეთა	13,502	12,906
ბიოლოგიური აქტივების მოვლა-შენახვის ხარჯი	91,217	98,450
ბიოლოგიური აქტივების ცვეთის ხარჯი	296,049	296,049
რეკლამის ხარჯი	24,296	1,264
მიმდინარე რემონტის ხარჯი	9,857	16,877
წარმომადგენლობითი ხარჯი	6,488	
მარაგების გაუფასურების ხარჯი	263,391	
ავტომატური იჯარის ხარჯი	18,305	
სხვა ხარჯი	67,993	100,620
სულ ჯამი	2,496,967	2,345,206

შენიშვნა 23

საპროცენტო შემოსავალი

	2024	2023
ანაბარზე დარიცხული საპროცენტო სარგებელი	26,104	168,521
სულ ჯამი	26,104	168,521

შენიშვნა 24

ფინანსური დანახარჯები

	2024	2023
საპროცენტო ხარჯი	651,080	1,083,140
სულ ჯამი	651,080	1,083,140

შპს “ვაინ კახეთი“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

შენიშვნა 25

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

	2024	2023
თანადაფინანსება სოფლის მეურნ. პროექტების ფარგლებში	429,805	515,698
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	5,617	71,241
მიღებული სახელმწიფო სუბსიდიები		68,240
<u>სულ ჯამი</u>	<u>435,422</u>	<u>655,179</u>

შენიშვნა 26

სხვა არასაოპერაციო ხარჯი

	2024	2023
თანამშრომლებზე გაწეული სხვა ხარჯი	7,605	8,735
უსასყიდლო მიწოდების ხარჯი	1,342	-
ჯარიმები და საურავები	2,270	3,280
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	3,162	14,269
<u>სულ ჯამი</u>	<u>14,379</u>	<u>26,284</u>

შპს „ვაინ კახეთი“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

27. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

2025 წელს ჯგუფმა აიღო სესხი 10,116,515 ლარის ოდენობით. 2025 წელს ჯგუფმა დაფარა 3,558,352 ლარი სასესხო ვალდებულებები. შემცირდა ჯგუფის კაპიტალი 4,041,291 ლარით.

2025 წლის ოქტომბერში ცვლილება შევიდა შპს „ვაინ კახეთი“-ის სადამფუძნებლო სიაში და ამ ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის კომპანიის დამფუძნებლები არიან: 22.5%-იანი წილის მფლობელი არის ალესანდრე თამაზაშვილი, 22.5%-იანი წილის მფლობელი ლევან ზილფიმიანი, 43%-იანი წილის მფლობელი რობი ქეცხიშვილი, 8%-იანი წილის მფლობელი არის გიორგი ხითარიშვილი, ხოლო 4%-იანი წილის მფლობელი შალვა მერებაშვილი.

დირექტორი:

